

საქმე №სსკ-1- 17
№სსკ-1- 17 დ.-ე

11 იანვარი, 2017 წელი
ქ. თბილისი

საკვალიფიკაციო პალატა
შემადგენლობა:

ზურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნინო ბაქაქური, ნუგზარ სხირტლაძე

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

საჩივრის ავტორი – ლ. დ.-ე

მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

გასაჩივრებული აქტი – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 31
ოქტომბრის N1/273 გადაწყვეტილება

მოსარჩელის მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში,
რომლითაც საჩივრის ავტორს უარი ეთქვა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში იუსტიციის
მსმენელად ჩარიცხვაზე და მისი კანდიდატურის ხელახლა განხილვა

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2017 წლის 10 იანვარს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატას საჩივრით მომართა ლ. დ.-ემ, რომელმაც მოითხოვა:
 - 1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 31 ოქტომბრის N1/273 გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც საჩივრის ავტორს უარი ეთქვა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში იუსტიციის მსმენელად ჩარიცხვაზე;
 - 1.2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მისი კანდიდატურის ხელახლა განხილვა.
2. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მის მიმართ არის დისკრიმინაციული, რომელსაც საფუძვლად დაედო იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვის პრეტენდენტის მიერ გამოთქმული და იმავდროულად, საბჭოს წევრებისათვის მიუღებელი მოსაზრებები.
3. საჩივრის ფაქტობრივი გარემოებები შემდეგში მდგომარეობს: საჩივრის ავტორმა 2013, 2014 და 2015წწ.-ში მონაწილეობა მიიღო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა შესარჩევ კონკურსში და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით მას უარი ეთქვა იუსტიციის მსმენელად ჩარიცხვაზე.
 - 3.1. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ 2013 წელს ჩატარებულ კონკურსზე საბჭოს წევრების მხრიდან დასმულ შეკითხვაზე მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის არსებობის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, პრეტენდენტმა დააფიქსირა იმგვარი პოზიცია, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, სასამართლოს მიერ მიკერძოებული გადაწყვეტილებები გამოდიოდა, რაც აუცილებელს ხდიდა ამგვარი კომისიის რაიმე ფორმით არსებობას.
 - 3.2. სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე პრეტენდენტმა აღნიშნა, რომ ვინაიდან წინა ხელისუფლების პირობებში სასამართლო იყო მიკერძოებული, იმგვარ სიტუაციაში ყოფნის შემთხვევაში, იგი პირადი განცხადებით უარს იტყოდა მართლმსაჯულების აღსრულებაზე (მოსამართლეობაზე).
 - 3.3. დასმულ შეკითხვაზე, თუ რატომ არ მიიღო მან წინა წლებში ჩატარებულ კონკურსებში მონაწილეობა, მაშინ როდესაც მოსამართლეობის კანდიდატის საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული ჰქონდა ჯერ კიდევ, 2009წ.-ს, უპასუხა, რომ იმ წლებში არსებულ ვითარებაში, მას შეუძლებლად მიაჩნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მოსამართლე.
4. 2016 წელს ჩატარებულ კონკურსზე კი, პრეტენდენტმა ისაუბრა მოსამართლის გამოხატვის თავისუფლებასა და საბჭოს გადაწყვეტილებაზე, რომლითაც იმჟამინდელ საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით შეუწყდა თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება *(გასაუბრების წინ საბჭოს შემადგენლობა განიხილავდა ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გენ. დირექტორისა და საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის ფარულ ჩანაწერს)*. კონკურსსანტმა დააფიქსირა იმგვარი პოზიცია, რომლითაც საბჭოს გადაწყვეტილება შეაფასა, როგორც მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების დაუშვებელი ხელყოფა, რომელიც „მსუსხავ ეფექტს“ იქონიებდა სხვა მოსამართლეებზე.

5. დასახელებული კონკურსების შედეგად მას უარი ეთქვა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში იუსტიციის მსმენელად ჩარიცხვაზე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მხრიდან მან ვერ მიიღო დადებითი შეფასება, თუმცა, არც ერთ გადაწყვეტილებაში არ არის დასაბუთებული, უარის თქმის მოტივი, რასაც კოლეგიური ორგანო იმით ხსნის, რომ კანონდებლობა არ ითვალისწინებს საბჭოს წევრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას.

6. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მას უარი ეთქვა 2014 და 2015წწ.-ში საბჭოს წევრების მიერ შევსებული კანდიდატის შეფასების ფურცლებისა და გასაუბრების ჩანაწერების გადაცემაზე, ტექნიკური შეფერხების მოტივით. მას გადაეცა მხოლოდ რეკომენდატორების მიერ შევსებული კითხვარი.

7. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, იმ გარემოების დასადგენად მოხდა თუ არა კანდიდატის უნარ-ჩვევების სიღრმისეული და ობიექტური შეაფასება საჭიროა გადაწყვეტილებაში მიეთითოს, თუ რატომ გახდა კონკრეტული პირი გამარჯვებული და რომელი თვისებები აქვს მას უკეთესი სხვა კანდიდატებთან შედარებით, რომ გაირკვეს, არსებობდა თუ არა ფაქტობრივი საფუძველი (კონკრეტული ინფორმაცია, დოკუმენტაცია, წერილობითი დასაბუთებული მოსაზრება) კონკრეტული პირის, ამ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის კანდიდატურის შეაფასებისათვის. დავის განმხილველმა ორგანომ უნდა დაადგინოს, რომელი მონაცემების საფუძველზე გახდა კონკრეტული პირი გამარჯვებული და რომელი თვისებები აქვს მას უკეთესი სხვა კანდიდატთან შედარებით.

8. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2016 წლის შესარჩევ კონკურსზე დაარღვია შემდეგი წესი: კანდიდატები შეაფასა კანონის მოთხოვნების უხეში დარღვევით; შეფასება განხორციელდა ფარული კენჭისყრით; კოლეგიური ორგანოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია. გამოკვლეული უნდა იქნეს პრეტენდენტის უარყოფითი შეფასებისათვის, არსებობდა თუ არა ობიექტური და გონივრული საფუძველი

9.1 საჩივრის ავტორი წარმოდგენილი საჩივრის საკვალიფიკაციო პალატის მიერ განხილვისა (განსჯადობა) და საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად უთითებს საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36^{მუხლს} და მიაჩნია, რომ მართალია საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ არ ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელობის კანდიდატის მიმართ საბჭოს მიერ გამოტანილი უარყოფითი გადაწყვეტილების საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში გასაჩივრების წესს, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 42-ე მუხლით დადგენილი წესის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა.

9.2. იმავდროულად, საჩივრის ავტორი უთითებს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლსა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, სახელდობრ გადაწყვეტილებაზე *MAJSKI v. CROATIA*, რომლითაც სასამართლომ მიიღო პირის საჩივარი, დააკმაყოფილა და ცნო კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, როდესაც მომჩივანი ასაჩივრებდა საპროკურორო საბჭოს გადაწყვეტილებას, რომლითაც მის ნაცვლად ფარული კენჭისყრის

საფუძველზე სხვა პირი დაინიშნა ოლქის პროკურორის მოადგილის თანამდებობაზე. ხორვატიის კანონმდებლობა პირდაპირ არ ითვალისწინებდა პროკურორობის კანდიდატის მიერ საპროკურორო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას. ხორვატიის სასამართლოებმა არ განიხილეს მისი საჩივარი, რადგან ადმინისტრაციული დავების განმხილველმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტი არ იყო ადმინისტრაციული აქტი.

9.3. სხვა საქმეში, *Vilho Eskelinen and Others v. Finland* დიდმა პალატამ შეცვალა მანამდე არსებული პრაქტიკა და განმარტა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მოქმედების არეალში არ მოექცევა საჯარო სამსახურის დასაქმებასთან დაკავშირებული მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როდესაც კანონმდებლობა პირდაპირ კრძალავს პირის უფლებას გასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება და ასეთი აკრძალვისათვის არსებობს სამართლიანი და გონივრული საფუძველი.

9.4. იმავდროულად, საჩივრის ავტორი მიუთითებს ნორმატიული აქტების შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტზე და აღნიშნავს, რომ საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში კანონის ანალოგია გამოიყენება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, მაგრამ კანონი ითვალისწინებს მოსამართლის უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების საკვალიფიკაციო პალატაში გასაჩივრების წესს.

9.5. ამასთან, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 35⁵ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით საკვალიფიკაციო პალატა განიხილავს მოსამართლეობის კანდიდატის საჩივარს დანიშვნაზე უარისთქმის შესახებ, ხოლო იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და სკოლის წესდების მე-8 მუხლის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო იუსტიციის მსმენელობის კანდიდატს აფასებს ძირითადად იგივე კრიტერიუმებითა და წესით, როგორც 3 წლის ვადით თუ უვადოდ დასანიშნ მოსამართლეობის კანდიდატს

9.6. საჩივრის ავტორი უთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად ამ კოდექსის მოქმედება, გარდა მე-3 თავისა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაზე არ ვრცელდება. შესაბამისად, თუ საკვალიფიკაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული დავა უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განსახილველად, აღნიშნული სასამართლო მაინც ვერ შეამოწმებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებთან.

10. სადავო აქტის გასაჩივრების ვადის ათვლის თარიღთან მიმართებით, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოქვეყნდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებ.გვერდზე 2016 წლის ნოემბერში, მაგრამ მისთვის უარყოფითი პასუხი არ გადაუციათ, არც მისი გასაჩივრების ვადა და წესი შეუტყობინებიათ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დაუცველობის მოტივით კი, არ არსებობს გასაჩივრების ვადის გადაცილების მოტივით საჩივრის განხილვაზე უარისთქმის სამართლებრივი საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საჩივარი, საჩივარზე თანდართული მასალები და მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საჩივარი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 31 ოქტომბრის N1/273 გადაწყვეტილებაზე ლ. დ.-ის იუსტიციის უმაღლეს სკოლაში იუსტიციის მსმენელად ჩარიცხვაზე უარის თქმის ნაწილში განსჯადობით უნდა გადაეგზავნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგი გარემოებების გამო:

12. საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს უზენაეს სასამართლოში შექმნილია საკვალიფიკაციო პალატა¹, რომელიც, ამავე კანონის 19^{1.1}, 36⁵ და 36⁶ მუხლებით დადგენილი წესით განიხილავს საჩივრებს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებზე.

13. ორგანული კანონის ზემოთმოხმობილი ნორმებით ამომწურავადაა განსაზღვრული საკვალიფიკაციო პალატის უფლებამოსილება და კომპეტენციის ფარგლები, რომლის მიხედვით საკვალიფიკაციო პალატის უფლებამოსილებაში არ შედის საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელის კანდიდატის ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება.

14. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვარგის სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული საჩივრის ავტორის პოზიცია საჩივრის ანალოგიის წესით განხილვის შესახებ იმ არგუმენტით, რომ თუ საკვალიფიკაციო პალატას განსახილველად ექვემდებარება მოსამართლის უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, მანვე უნდა განიხილოს იუსტიციის სკოლაში იუსტიციის მსმენელად ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებაც, მით უფრო იმ ნორმატიულ მოცემულობაში, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო იუსტიციის მსმენელობის კანდიდატს აფასებს ძირითადად იგივე კრიტერიუმებითა და წესით, როგორც 3 წლის ვადით თუ უვადოდ დასანიშნ მოსამართლეობის კანდიდატს (**წინამდებარე განჩინების პპ: 9.4; 9.5**).

15. საკვალიფიკაციო პალატას მიაჩნია, რომ საჩივარში მითითებული პოზიცია (**იხ., წინამდებარე განჩინების პ: 9.1**) დავის განსჯადობის შესახებ, არ ცვლის პ: 13-ში მითითებულ ორგანული კანონის იმპერატიულ დანაწესს ინსტანციური განსჯადობის თაობაზე. ამასთან, საჩივრის ავტორის პრეტენზია უფლების სასამართლო წესით დაცვის ხელმისაწვდომობაზე, ვერც საჩივარში მითითებულ კონტექსტშია გასაზიარებელი (**იხ., წინამდებარე განჩინების პ: 9.2; 9.3**).

16. საკვალიფიკაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მიხედვით სარჩელი უნდა წარედგინოს განსჯად სასამართლოს. არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში

¹ (01.08.2014 N2647)

სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო².

17. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების (*fair trial*) მარეგულირებელი ცენტრალური ნორმაა და შეიცავს მნიშვნელოვან საპროცესო სამართლებრივ გარანტიებს, უზრუნველყოფს არა მხოლოდ უფლების სასამართლო წესით დაცვას, არამედ, მიღებული გადაწყვეტილების ლეგიტიმურობის უზრუნველსაყოფად, ადგენს დავის შესაბამისი სასამართლოს მიერ განხილვის სავალდებულობას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მითითებული მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. კონსტიტუციური ნორმების ანალოგიურად, აღნიშნული იუსტიციური უფლებები გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 და 34-ე მუხლებით, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთი პრეცედენტული გადაწყვეტილებებით, რომლებშიც განმტკიცებულია სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება. თუმცა, „სასამართლოსადმი მიმართვის უფლება სასამართლო ხელმისაწვდომობის ასპექტში არ შეიძლება გაგებული იქნეს აბსოლუტურ უფლებად, რადგან იგი შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ შეზღუდვებს; აღნიშნული გამომდინარეობს იმ დასკვნიდან, რომ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება თავისი ბუნებით ექვემდებარება სახელმწიფო რეგულირებას; რეგულაცია შეიძლება განსხვავდებოდეს დროისა და ადგილის მიხედვით, საზოგადოებისა და ინდივიდების რესურსებისა და საჭიროებების საფუძველზე” (*იხ., CASE OF ASHINGDANE v. THE UNITED KINGDOM (განაცხადის N8225/78) 28 May 1985. პ: 57*).

18. საჩივრის ავტორი წარმოდგენილი საჩივრის სწორედ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში განხილვის აუცილებლობის დასასაბუთებლად მოიხმობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის პრეცედენტულ გადაწყვეტილებას *Vilho Eskelinen and Others v. Finland (განაცხადის N63235/00) 19 აპრილი, 2007*). საკვალიფიკაციო პალატა არ იზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას და განმარტავს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით დიდმა პალატამ მომჩივანის უფლება სადავო ხელფასის წანამატზე მოაქცია კონვენციის მე-6.1 მუხლის დაცვის სფეროში და იმავდროულად, შეცვალა 1999 წლის გადაწყვეტილებით პელეგრინი (*Pellegrin*) საფრანგეთის წინააღმდეგ დადგენილი მიდგომა, რომლის მიხედვით საჯარო მოსამსახურებთან (როგორც არიან პოლიციის ოფიცრები) და პოლიციის ადმინისტრაციაში მათი პირობებით მომუშავე სხვა თანამშრომლებთან დაკავშირებული დავები მე-6 მუხლის მოქმედების ქვეშ არ ექცეოდა, დამკვიდრებული ფუნქციონალური კრიტერიუმის გამო, რომელიც ემყარებოდა მოსამსახურის მოვალეობათა და პასუხისმგებლობათა ბუნებას, რამეთუ ეს უკანასკნელნი არიან საჯარო უფლებამოსილების დეპოზიტარები, რომლის

² (24.06.2005. N1800)

თანახმადაც ევალუბათ სახელმწიფოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოების ზოგადი ინტერესების დაცვა. თუმცა, პელეგრინით დამკვიდრებული ფუნქციური კრიტერიუმის გადახედვის შედეგად, დიდმა პალატამ გადაწყვიტა ახალი მიდგომის დადგენა ამ სფეროში და საჩივრის ავტორის მიერ მოხმობილი გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ საჯარო მოსამსახურეების მიმართ მე-6 მუხლის მოქმედების გამორიცხვა რომ მოითხოვოს, ორი პირობა უნდა დაკმაყოფილდეს: პირველი, განსახილველ მოსამსახურეთა კატეგორიას ეროვნული კანონმდებლობით პირდაპირ უნდა ქონდეთ შეზღუდული სასამართლოსთვის მიმართვა. მეორე, ეს შეზღუდვა სახელმწიფოს ინტერესიდან გამომდინარე ობიექტური საფუძვლებით უნდა იყოს დასაბუთებული. მხოლოდ ის ფაქტი, რომ განმცხადებლები იმ სექტორს ან უწყებას წარმოადგენდნენ, რომელიც საჯარო სამართლით მინიჭებულ უფლებამოსილებას ახორციელებდა, არ არის გადამწყვეტი.

დიდი პალატის ზემოაღნიშნული დასკვნიდან გამომდინარე, საკვალიფიკაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოდგენილი საჩივრის სწორედ საკვალიფიკაციო პალატაში განხილვის აუცილებლობის დასადასტურებლად ვერ გამოდგება, რამდენადაც როგორც აღინიშნა, მასში საუბარია საჯარო მოსამსახურეთა საჩივრის სასამართლო წესით განხილვის უფლებაზე, თუ ეროვნული კანონმდებლობა შიდა რეგულაციებით არ კრძალავს აღნიშნულს და ამ აკრძალვისთვის არ არსებობს ობიექტური საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, კი საჩივრის ავტორის უფლება სასამართლო ხელმისაწვდომობაზე იმ თვალსაზრისით, რომ გაასაჩივროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადავო გადაწყვეტილება, არ იზღუდება, არამედ, საჩივრის ავტორის წარმოდგენილი საჩივარი განსჯადობით ექვემდებარება სხვა სასამართლო ინსტანციას, რაც არ შეიძლება გაგებულ იქნეს კონვენციის 6.1 მუხლით საჩივრის ავტორისათვის მინიჭებული უფლების შეზღუდვად.

19. სასამართლოს, რომელსაც არ გააჩნია საქმის განხილვის იურისდიქცია, არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა განაცხადოს ამის შესახებ, მაშინაც კი, როდესაც განსჯადობის საკითხს არც-ერთი მხარე არ აყენებს ან მხარის პროცესის მონაწილე მხარის მოსაზრებები განსჯადობის შესახებ უმართებულოა. განსჯადობის საკითხი განიხილება არა დისპოზიციურობის, არამედ იმპერატიული მოთხოვნების საფუძველზე, რადგან განსჯადობა წარმოადგენს საჯარო წესრიგის (*order public*) შემადგენელ ნაწილს. მომჩივანი იღებს გადაწყვეტილებას დავის წამოწყების შესახებ, თვითონ განსაზღვრავს დავის საგანს [საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი], თუმცა, მომჩივანის უფლება არ შეიძლება გაგებულ იქნეს მის უალტერნატივო შესაძლებლობად დაადგინოს საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო. განსჯადობის საკითხს ამოწმებს სწორედ სასამართლო და დავა განსჯადობის თაობაზე დაშვებულია სასამართლოებს და არა სასამართლოსა და პროცესის მონაწილე მხარეს შორის {*საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26. 3 მუხლი*}.

20. საკვალიფიკაციო პალატის ზემოთმოხმობილი მსჯელობის გათვალისწინებით, წარმოდგენილი საჩივარი არ ექვემდებარება განსახილველად საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი :

საკვალიფიკაციო პალატამ იხელმძღვანელა საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-15.1 „ზ“ და 19¹.1 მუხლით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე 399-ე, 372-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. დ.-ის საჩივარი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 31 ოქტომბრის N1/273 გადაწყვეტილებაზე ლ. დ.-ის იუსტიციის უმაღლეს სკოლაში იუსტიციის მსმენელად ჩარიცხვაზე უარის თქმის ნაწილში განსჯადობით გადაეგზავნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საკვალიფიკაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე

ზ. ძლიერიშვილი

მოსამართლეები:

ნ. ბაქაქური

ნ. სხირტლაძე